ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№142

26.11.19 წ

ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ **მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განთლების მულტიფუნქციური ცენტრის დირექტორი შორენა არჭევანიძე** (შემდგომში შემსყიდველი) და მეორე მხრივ **შპს „დიო“** შემდგომში მიმწოდებელი/ ხელმძღვანელობთ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. **ხელშეკრულების საგანი**

**1.1** ხელშეკრულების ობიექტია შეუფერხებლად და ხარისხიანად უზრუნველყოფს **მცხეთის დავით გამრეკელის სახელობის ხელოვნების სკოლისათვის ფანჯრის მინების შეძენა-მიწოდება** თანხით 1190.00 **ლარი.**

**CPV -14820000-1190.00 ლარი**

**სულ თანხით-1190.00 ლარი**

2. **საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება**

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან ------ 10-------დღის ვადაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **1190.00 ლარი**.

3. **ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში

4. **მიღება-ჩაბარების წესი**

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ: **შორენა არჭევანიძე და შპს „დიო'.**
4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ

5. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ხელშეკრულების ყველა პირობა და განახორციელონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
5.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უმაღლეს დონეზე.
5.3 შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

6. **ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

6.1 ხელშეკრულების არშესრულების შემთხვევაში დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.2 ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას განახორციელებს **ნ. მამაცაშვილი.**

**მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას**

7.1 ფორსმაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ანდა დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

6 **ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შემდეგ იზრდება

ხელშეკრულების
ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკურლების შეწყვეტის შესახებ

8.4 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 7 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლოის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 8 ფორსმაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით (ხანძარი, წყალდიდობა და სხვა სტიქიური მოვლენები, ომები, ექსპორტ-იმპორტის აკრძალვა) თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.მხარე რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება , დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 9 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება კანონმდებლობით.
11..2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2019 წლის 26 დეკემბრამდე.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

## 10 მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| ქალქალ მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განთლების მულტიფუნქციური ცენტრი. | შპს „დიო“ |
| ს/კ 436255419 | ს/კ 201946573 |
| მის;მცხეთა სამხედროს N9 | ბ/კ TBSBGE22 |
| ტელ:599 515965 | ა/ნ GE72TB1959136080100001 |
| | ქ.თბილისი საბურთალოს ქN55 |
| დირექტორი: შ.არჯევანიძე | დირექტორი: თ. დაუშვილი |

NNLE MTSKHETA MUNICIPALITY CULTURE AND EDUCATION MULTIFUNCTIONAL CENTRE

Digitally signed by NNLE MTSKHETA MUNICIPALITY CULTURE AND EDUCATION MULTIFUNCTIONAL CENTRE
Date: 2019.11.26 16:47:08 +04'00'

Dio LLC

Digitally signed by Dio LLC
Date: 2019.11.27 11:02:12 +04'00'